ხუთშაბათი, 27 სექტემბ. 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 613

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: **საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სასწავლებლების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები 1905—1907 წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.**

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ვინც ახლავე დაიკვეთს „დროების კალენდარს", იმას 30% დაკლებით დაეთმობა.

ადრესი: ტფილისი, „იდეალის" სტამბა „**დროების კალენდრის**" გამომცემელს.

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ.—00)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—20)

ექიმი
**ივ. გომართელი**
პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—13)

**კბილის ექიმი**
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—9)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—186)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—19)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—8)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებიო ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—18)

**მოითხოვეთ საუკეთესო**
## ფისქვ.. ლის ქვები
ამხ. „**ზეთრგის**" ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—12)

## ეკისრულობ
ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის" რედაქციაში.

## სახალხო უნივერსიტეტი
**ქართული სექცია**

**მოსამზადებელ კურსებისა გაიხსნა 18 სექტემბერს.**

მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი და უცოდინარნიც 16 წლისაზე არა ნაკლებნი ორისავე სქესისა.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ დღე, საღამოს 5—7 საათამდე გოგოლის ქუჩაზე, კუკიის მეორე სამოქალაქო პირველ დაწყებით სკოლის სადგომში, ხოლო დილით 11—2 საათამდე „ისარი"-ს რედაქციაში. (4—უ.—6)

## ტფილისი, 27 ენკენისთვე.

„გაზეთი „ისარი" გვეკამათება. დამჯდარი და რიგიანი მსჯელობის მაგიერ ის მოჰყოლია ლანძღვა-გინებას... ჩვენ არ გამოვუდგებით „ისარის" ქუჩურ ლანძღვაგინებას"...

დარწმუნებულნი ვართ, მკითხველი გაიცინებს, როცა ვეტყვით, რომ ზემოხსენებულ სიტყვებით **გაზეთი „ჩვენი გზა"** იწყებს თავის გრძელ წერილს „ისარის" საპასუხოდ (№ 17). „ჩვენი გზა" და „ჩვენი გზისტები" გვიკიჟინებენ ლანძღვა-გინებას და დარჯდარ, რიგიან მსჯელობაზე ლაპარაკობენ,—ის გაზეთი და ის ვაჟბატონები, რომელნიც დღე არ გავა ისე, რომ მაგარ-მაგარ ეპიტეტებით, როგორც, მაგალითად, „კრეტინები", „უშნაარსო, მატყუარა, მშიშარა ინტელიგენტები", „საზიზღარი დემაგოგები" და მრავალ სხვა ამგვარ ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტებით არ შეგვამკონ ხოლმე! ნათქვამია: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. მაგრამ ეს ისეთი ბავშური ფანდია, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს: უკომენტარიოდაც ღიმილს მოგვრის ალბათ თვით „ჩვენი გზის" მკითხველთაც.. გადავიდეთ და გავსინჯოთ თვით პასუხი, თუმცა... თუმცა ისიც არა ნაკლებ ბავშური ფანდია, ვიდრე ზემოხსენებული წინასიტყვაობა.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ **ქართველი** ს.-დემოკრატია სრულებითაც არ არსებობს. ჩვენ ვწერდით, რომ არის რუსთა, პოლონელთა, ებრაელთა, ლატიშთა, გერმანელთა და სხვა ერთა სოც.-დემოკრატია, მაგრამ ქართველ ს.-დ. ვერ ვხედავთ; სომხის ს.-დემოკრატიაც კი არსებობს, ხოლო ქართველი ს.-დემოკრატები სადღაც გაითქვიფნენ და მათი ხსენებაც კი არ არის. „ჩვენი გზა" პირდაპირ პასუხის ნაცვლად სიტყვას ბანზე აგდებს და გვიპასუხებს: „ეს ბურჟუაზიული ფანდია. ასე იქცევიან ბურჟუაზიული იდეოლოგები ყველგან და ყოველთვის: რუსეთში აგინებენ რუსეთის ს.-დემოკრატიას და აქებენ გერმანიისას; იქ აგინებენ გერმანიის ს.-დ. და აქებენ საფრანგეთისას და ასე ბოლომდე". ვინ ვის აქებს და აძაგებს, სად აქებს და რად აძაგებს, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ; ჯერ-კი გვიპასუხეთ—სადაა ქართველი ს.-დემოკრატია? ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენს კამათში. რომ ჩვენ მოკამათეებს არ ესმისთ (განზრახ თუ უნებლიეთ—ეს აქ სულ ერთია), რას ვეკითხებით და რომ პასუხის ნაცვლად ლობე-ყორეს ედებიან, ამას მათი პასუხიც ამტკიცებს. „ისარი" იმეორებს თავის საზიზღარ დემაგოგიას, ვითომ ჩვენი ს.-დ. უარყოფდნენ ეროვნებას, ენას; ჩაიხედეთ ს. დ. პროგრამაში, სადაც აღიარებულია ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, საოლქო თვითმართველობა, სამშობლო ენაზე სწავლა-განათლება, თვითგამორკვევის უფლებაო,—მედიდურად გაიძახის „ჩვენი გზა" და ვერც-კი ამჩნევს, რომ საკუთარის ხელითვე ყელს იჭრის ას უცნაურის არგუმენტაციით. ეს ხომ ს.-დ. საზოგადო პროგრამაა, ბატონებო, და ჩვენ კი გეკითხებით გვიჩვენოთ: თქვენ, ქართველ ს.-დემოკრატებმა, რა შინაარსით აავსეთ ეს უსულო ფორმულა, ეს ჩონჩხი? ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობა, სამშობლო ენაზე სწავლება და თვითგამორკვევის უფლება რომ საკმარისნი ყოფილიყვნენ ეროვნულ პრობლემისა და საქმის გადაწყვეტა-მოსაწყობად, მაშინ ხომ ებრაელებიც არ წავიდოდნენ თავის „ბუნდში", პოლონელებიც, ლატიშებიც და რუსეთის სხვა ერთა ს.-დემოკრატებიც არ შექმნიდნენ საკუთარ ეროვნულ ს.-დემოკრატიას? მაშინ ისინიც თქვენსავით გაითქვიფებოდნენ „სრ. რ. ს.-დ. მ. პარტიაში" და მათი ხსენებაც არ იქნებოდა, როგორც თქვენი ხსენება არაა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ თქვენი მე-3 მე-8 და მე-9 პუნქტები ძალიან ცოტას ამბობენ ისეთ რთულ და ძნელ პრობლემაზე, როგორიც არის ეროვნული საკითხი ნამეტურ მრავალ-ეროვან რუსეთისათვის. მართლაც, ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობა რა უებარი საშუალებაა ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად? ამას ბურჟუაზიული ლიბერალებიც ხომ არ ჰყოფენ უარს, როგორც არ უარყოფენ სამშობლო ენაზე სწავლა-განათლებას? ან ეს პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლება რა არის, თუ არ უსულო ჩონჩხი, უბრალო ფორმულა, რომელშიაც ყველაფერი მოთავსდება, რაც გინდა და არ გინდა?! ავსტრიის ს.-დემოკრატიასაც-კი ეწერა პროგრამაში ეს თქვენი საამაყო პუნქტები, მაგრამ დღემდისაც არ შეუწყვეტია ენერგიული კვლევა-ძიება ამ საკითხში და უშინაარსო ფორმულის მაგიერ პირდაპირ აღიარა ერთა ავტონომია და ავტონომიურ ერთა ფედერაცია, როგორც ერთად ერთი გზა ეროვნულ პრობლემის გადასაწყვეტად თანამედროვე სოციალურს პირობებში. ამგვარისავე „თვითგამორკვევით" შეავსეს თქვენი პროგრამა პოლონეთის, ლიტვის, ლატიშების და სხვა ეგრედ წოდებულ დამონავებულ ერების ს. დემოკრატებმა და ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ არსებობს მათი ს.-დემოკრატია, და არსებობს ის ს.-დემოკრატია, რომელიც დაჟინებით იმეორებს უსულდგმულო ფორმულებს. თქვენ ჩვეულებრივად სიტყვა ბანზე ააგდეთ და ვილაცას ატყუებთ, ვითომ ჩვენ იმიტომ არ გვიყვარს ადგილობრივი ს დემოკრატები, რომ ისინი „კრიჭაში უდგიან ბურჟუაზიას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ააშკარავებენ მის ნამდვილ სახეს". ნუ სტყუით, გეყოფათ: ეს ამდენი წელიწადია კამათი გვაქვს თქვენთან და ყველამ კარგად იცის, რომ საკამათო საგანი „ბურჟუაზიის მხილება"-კი არ არის, არამედ და უმთავრესად ეგ ეროვნული საკითხია. თქვენ ამ საკითხის არსებობასაც უარჰყოფდით წინად, მაგრამ ახლა თან და თან უკან მიგაქვთ თქვენი სიტყვები: თქვენი პროგრამა ერთობ ელასტიურია და, როგორც „ჩამონაჭრები" გადიქცა ექსპროპრიაციად და მუნიციპალიზაციად ყველა მიწებისა, ისე, იმედი გვაქვს, თქვენი პუნქტებიც აუცილებლად შეისხამენ ავტონომიის ხორცს. თქვენი უბედურება ისაა მხოლოდ, რომ ამას საკუთარის აზრითა და ნებით ვერ მოიმოქმედებთ და უნდა უცადოთ, როცა თვით რუსის ს.-დემოკრატია გახდება იძულებული, ავსტრიის ს.-დემოკრატიის ეროვნულ პროკრამის მიხედვით გადააკეთოს თავისი ერთობ ზოგადი პუნკტები...

რაც შეეხება „ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის მოძრაობის ფაქტიურ ისტორიას", მოდით ამას ჯერ ჯერობით თავი დავანებოთ: ცოტა არ იყოს, ნაადრევ ტრაბახობად ჩამოგართმევენ გაბედულ სიტყვებს, რომ ეგ „მოძრაობა საფუძვლად დაედო ჩვენი ერის განახლებას, მის კულტურულ წინსვლას" და რომ თქვენ „შეიტანეთ სინათლე ჩვენს მიყრუებულს სოფლებში". ჯერ ეგ განახლება და წინსვლა არა სჩანს საკმაოდ მკაფიოდ და თქვენ მიერ „მიყრუებულ სოფლებში შეტანილი სინათლეც" ჯერ ოდნავად ბჟუტავს. ამიტომ თქვენი მოღვაწეობის „ფაქტიურ ისტორიის" განხილვაში მერე შევიდეთ; ახლა-კი პირობას გაძლევთ, „იმდენ უტიფრობამდე არ მივალთ, რომ თქვენი ღვაწლი ჩვენ დავიჩემოთ"..:

დაგვრჩა „პოლიტიკური ფილოსოფია". „ჩვენი გზა" გაცხარებით გმობს ბოიკოტის ტაქტიკას და თან გვიხსნის, რა აზრი ჰქონია ს.-დემოკრატიის წასვლას სათათბიროში. თურმე ს.-დემოკრატიას აზრად აქვს „მთავრობის განზრახვებს ფარდა ახადოს და ბურჟუაზიული ორპირობა გამოააშკარავოს". Гора родила мыш-ь, რუსები რომ იტყვიან, სწორედ ზედ გამოჭრილია ამ მხილებაზე. აკი წინა წერილში ბრძანებდით, რომ სათათბიროში იმისთვის მიდიხართ, რომ „მიწა და თავისუფლება" უნდა მოუპოვოთ მშრომელ ხალხს? „მთავრობის განზრახვანი", ბატონებო, არა-თუ გავიგეთ, ვგრძნობთ კიდეც, სასტიკად ვგრძნობთ—ტყავი აგვძვრა და რა ფარდის ახდა სჭირია კიდევ? „ბურჟუაზიის ორპირობაზე" ხომ აქაც ყური გამოგვიყრუეთ და შემდეგშიაც, სათათბიროში წაუსვლელადაც, ხომ მშვენიერად შეგიძლიათ გამოააშკარავოთ?.. მაგრამ ჩვენი მოკამათეები თვითონაც გრძნობენ, რომ ეს ცოტაა და რომ „ძლიერსა და მრავალ რიცხოვან" სოციალისტურს პარტიას არ შეჰფერის რევოლიუციონურს დროში მარტო ფარდის ახდისა და გამოაშკარავებისათვის პარლამენტში სხდომა და ამიტომ რიხიანად შემოგვძახიან: ჩვენ თუ არ წავედით, „კადეტები დაამტკიცებენ დღევანდელ მთავრობის ბიუჯეტს, მისცემენ მას სალდათებს, ჩაუყრიან ხელში გლეხების გამოსაკვებად მილიონებს, რომლითაც ნამდვილად გურკო-ლიდვალები გამოიკვებებიან"... დევ-გმირებო! შარშანაც და შარშანწინაც-კი იყავით სათათბიროში, მაგრამ ამ მთავრობას ბიუჯეტიც რომ აქვს, სალდათებიც რომ მიჰყავს და გურკო-ლიდვალებიც რომ სუქდებიან გლეხების პურით—ეს როგორღაა?.. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელს სათათბიროს არ ძალუძს ესენი წაართვას მთავრობას და რომ საპარლამენტო კომედიის თამაშში დღეს სოციალისტებსა და რევოლიუციონერებს არ შეჰფერისთ, რადგან ჩხირკედელაობის მეტი არა გამოდის-რა. ეს მოღვაწეობა მიგვაჩნია ჩვენ უმნიშვნელოდ და არსად არ გვითქვამს, ვითომც ბრძოლა საჭირო აღარ იყოს და ვითომ ასპარეზი ბურჟუაზიას უნდა დაეთმოს. თქვენ სასაცილოდ მიგაჩნიათ ჩვენი აზრი, რომ დღევანდელს პირობებში ბურჟუაზიულ დემოკრატიას უფრო ნაყოფიერად შეუძლია რეაქციას ებრძოლოს **სათათბიროში**, როგორც სოციალისტებისა და რევოლიუციონერების ბრძოლა უფრო ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანია **სათათბიროს გარედ**; მაგრამ, ფრანგებისა არ იყოს, კარგად გაიცინებს ის, ვინც უკანასკნელად გაიცინებს, ჯერ-ჯერობით-კი არც თქვენა გაქვთ იმის საბუთი, ვითომ ს.-დემოკრატების „პოლიტიკურს ფილოსოფიას" მივყავდეთ გამარჯვებისაკენ.

### არჩევნები

**ბორჩალო.** 23 ენკენისთვეს ბორჩალოს მაზრის მემამულეთა კრებამ საგუბერნიო ამომრჩევლებად აირჩია: მომრიგებელი შუამავალი ველიბეგ თოფჩიევი, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწე თავ. გ. მ. მელიქიშვილი, ექიმი თავ. ნ. მ. მელიქიშვილი, ალალარ მეხტი ალა სულთანოვი, მილიციის პრაპ. სადიხ ბეგ იედიგაროვი და მილიციის პრაპ. ქადირ ბეგ იედიგაროვი.

**არჩევნების გაბათილება.** სიღნაღის საარჩევნო სამაზრო კომისიამ გააბათილა არჩევნები ბოდბისხევის სასოფლო რწმუნებულთა კრებისა.

**არჩევნები არ მომხდარა.** სიღნაღისა და ახალციხის მაზრებში მემამულეთა საარჩევნო კრება არ შესდგა, რადგან კრებას არც ერთი ამომრჩეველი არ დაესწრო.

**ჭორი.** „ჩვენი გზა" სწერს, ვითომ „ფედერალისტები და პროგრესისტები შეერთებულად აპირებენ კანდიდატების წამოყენებას სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატის ასარჩევად".

„ჩვენმა გზამ" ძალიან კარგად იცის, რომ ფედერალისტები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში, მაგრამ მაინც ჭორიკანობს.

**თიანეთის მაზრა.** 23 ენკენისთვეს მოხდა სოფ. თიანეთში მემამულეების არჩევანები. მემამულეთაგან, რომლებიც სიაში იყვნენ შეტანილები, გამოცხადდა ოთხი; არჩეულ იქნა ორი ამომრჩეველი: თავ. ვ. გ. ბარათაშვილი და თავ. ს. რ. ჯანდიერი, უპარტიო პროგრესისტები. სხვებს, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება ჰქონდა, რიცხვით 170 კაცს, არჩევნებზე დასწრების უფლება მოუსპა თიანეთის მაზრაში და დუშეთის საქალაქო საარჩევნო ნაწილს მიაწერს; მათ სიშორის გამო თავიანთ უფლებით ვერც იქ ისარგებლეს.

**ტფილისი.** ტფილისელმა პროგრესისტებმა კვირას, 23 სექტემბერს კრება მოახდინეს და შემდეგი კანდიდატები დაასახელეს ამომრჩევლებად ქ. ტფილისიდან: ა. მ. არღუთინსკი, გ. ბ. საყვარელიძე, ლ. მღებროვი, მ. ი. თამამშევი, გ. მ. თუმანოვი, ი. იგიტიანი, გ. თამამშევი და ს. ხალატოვი.

სოც.-დემოკრატებმა ტფილისში ამომრჩევლებად დაასახელეს: პ. გელეიშვილი, ნ. ჩხეიძე, ვ. ლ. გოგუა, არ. კონდახჩევი, ნოე რამიშვილი, ნეიმან-ზადე, იაგუბიანცი და ნ. რაზმაძე.

რუსთა კურიაში პროგრესიულმა ჯგუფმა დაასახელა: ვესელოვზოროვი, ვეცელი, დობროვი, ზოლნიკოვი, კაზაკოვი, ლიმაროვი, მინეევი, ოსტროგორსკი, სამოდუროვი, სიჩკოვი და სემიონოვი.

დემოკრატიულმა ჯგუფმა ტფილისში დაასახელა შემდეგი კანდიდატები:

პირველ ნაწილში (1, 2 და 10 უბნები და ბორჩალოს მაზრა) 1, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი (სვიატოპოლკ-მირსკის ქ, № 4). 2, გაბრიელ ბეჟანის ძე საყვარელიძე კერძო ვექილი (არწრუნის ქ., № 27)

მეორე ნაწილში (3, 4, 5 და 9 უბ.) 1. გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა, ნაფიცი ვექილი (ბარონის ქ., № 8). 2, პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, მარშალი ტფილისის მაზრისა (განოვსკის ქ., საკუთარი სახლი). 3. მიხეილ ივანეს ძე თამამშევი (რეუტოვის ქ., № 11).

მესამე ნაწილში (6, 7 და 8 უბ.). 1, ნეიმან ზადე ფაიქ ეფენდი (დავიდოვის ქ., № 24). 2, პეტრე გრიგორის ძე მამრაძე (წმ. მარიამის ეკკლესია, საკუთ. სახლი). 3. მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე (ნავთლუღი წმ. ბარბარე ეკლესია).

დღეს, 27 სექტემბერს, დანიშნულია საარჩევნო კრებები ტფილისის სამივე საარჩევნო ნაწილებისა. კრება პირველ საარჩევნო ნაწილისა, რომელშიაც შედიან ტფილისის 1, 2 და 10 საპოლიციო უბნები, დაიწყება [illegible] თავმჯდომარეობით ზუბალაშვილის სახალხო სახლში, დილის 9 საათზე.

მეორე საარჩევნო კრება დაიწყება ტფილისის ქალაქის მოურავის [illegible] თავმჯდომარეობით [illegible] დარბაზში. მეორე საარჩევნო ნაწილში შედიან 3, 4, 5 და 9 საპოლიციო უბნის ამომრჩევლები.

მესამე საარჩევნო კრება დანიშნულია ავლაბარში არაქსიანის ტეატრის დარბაზში ხმოსნის გ. ზ. თამამშვილის თავმჯდომარეობით. მესამე საარჩევნო ნაწილში შედიან ბორჩალოს მაზრის, 6, 7 და 8 საპოლიციო ამრჩევლები.

**კახეთი.** საარჩევნო კამპანია თითქმის დასრულდა და ისე უფერულად ჩაიარა, რომ არც-კი არავის გაუგია. ჯერ ერთი, საარჩევნო ცენზის შეზღუდვით აიხსნება, მეორე—ზოგიერთი პოლ. პარტიების ბოიკოტით. [illegible]

23 სექტემბერს მოხდა მხოლოდ მემამულეთა კრება [illegible] შეუდგნენ არჩევნებს და თითქმის ერთხმად აირჩიეს ცნობილი პეტერბურგელი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, თელავის მაზრის მარშალი თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე და თავ. ალ. რ. ვახვახიშვილი, სამივე უპარტიო პროგრესისტ-ავტონომისტებია.

# ახალი ამბავი

✦ **ექსპროპრიაცია.** ელისაბედის ქუჩაზე სეროფ ტოკმანიანცის ფურნეში 25 სექტემბერს საღამოთი შევარდა 5 შეიარაღებული კაცი, რომელთაც დახლიდან 30 მან. გაიტაცეს და გადაიმალნენ.

✦ **ნამესტნიკის ნადირობა.** გუშინ, 26 სექტემბერს კავკასიის ნამესტნიკი სანადიროდ გაემგზავრა განჯის გუბერნიაში. ნადირობას გამართავენ ქიურდამირსა და აჯიქაბულს შუა.

✦ **პროფეს. კავშირი.** ზახარიანცისა, ფავლენიშვილისა და პეპლეს სპილენძის ქარხნების მუშებმა გადასწყვიტეს პროფესიონალურ კავშირის დაარსება. მუშებმა შეიმუშავეს პროექტი კავშირის წესდებისა. ახლო მომავალში განსაკუთრებული კომისია პროექტს განსახილველად წარუდგენს მუშებს. წესდების პროექტი განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება საგუბერნიო მთავრობას.

✦ **დაპატიმრება.** შორაპანში პოლიციას დაუპატიმრებია ცნობილი გიორგი ჟორჟოლიძე, რომელსაც პოლიცია დიდი ხანია დაეძებდა. მას აბრალებენ ხუთჯერ დაცემასა და გაცარცვას, ყვირილის საპყრობილიდან გაქცევასა და სხვ. ქიათურის შტოზე საფოსტო მატარებლის გაცარცვას,

✦ **ფოსტის გაცარცვა.** 24 ენკენისთვეს, დილით, ოჩემჩირეს საფოსტო კანტორაში შევარდნილა 10 ავაზაკი, რომელთაც მუქარით გაუჩერებიათ იქ მყოფი ხალხი, კანტორის გამგესთვის კონდახებით უცემიათ, 4000 მანეთზე მეტი ამოუღიათ ყუთიდან და მიმალულან.

✦ **ცხვრის გატაცება.** თიანეთის მაზრაში თელეთ გორთან 20 შეიარაღებული ქისტი თავს დასცემია ცხვრის ფარას, მოუკლავთ მეცხვარე ძროხიშვილი და მოუტაცნიათ 500 ცხვარი. ამას წინად იქიდანვე ლეკებმა მოიტაცეს 900 ცხვარი.

✦ **თავის დაწვა.** „ჩვენ გზას“ გურიიდან შემდეგს ამბავს ატყობინებენ: 18 ენკენისთვეს ოზურგეთში მღვდელმა იესე ინგოროყვამ თავი დაიწვა. შუადღისას მღვდელი სახლში მისულა, საბანზე, ბალიშზე, ტანზე და თავზე ნავთი გადაუსხამს, დაწოლილა და ცეცხლი მოუკიდებია. ამ დროს ქალი შევარდნილა ოთახში და დაუყვირია, რასა შვრებით. „ვერ ხედავ, დედაკაცო, რომ ცხოვრება არა ღირსო“,—მიუგია ცეცხლში გახვეულ მღვდელს და მალე დამწვარა. მიზეზი თავის დაწვისა ვერ გაიგეს.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულება.** აეკრძალათ ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე: არ. ეირანოვს, ნ. ჟურავლიოვს, ივ. კვენიკაძეს, ალ. ერიჩიკოვს, ს. დვოიანსა და არ. გეორგიანცს. გენ.-გუბერ. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის 25 მან, დაჯარიმებულ იქმნენ სახლის პატრონები: მიხ. ოქროპირიძე, ოსიფოვისა და ციბულინისა.

✦ **განაჩენი.** 25 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი შარშანწინ ხაშურში მომხდარ გაფიცვის შესახებ. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო სადგურის უფროსის თანაშემწე ხეჩინოვი, კანტორის გამგე ესტატე რატიანი და კვალიაშვილი. პალატამ პირველს მიუსაჯა თითოს ორის წლით ციხეში დაპატიმრება, ხოლო კვალიაშვილს ერთის წლით. დანარჩენი ბრალდებულნი პალატამ გაამართლა.

✦ **მცხეთის სობოროს შეკეთება.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად სინოდალურ კანტორის ხაზინადარმა ცნობილმა არდაზიანმა ქართულ ეკლესიის ფული გაფლანგა თითქმის 210,000 მან. ამის გამო მცხეთის საკათედრო ტაძრის განახლების საქმე შეჩერდა ამ დღეებში სინოდისაგან კანტორას ამბავი მოუვიდა, რომ მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხას გასადღიერებლად გადაიდო 31000 მანეთი. ტაძრის განმაახლებელ კომისიას საშუალება ეძლევა განაგრძოს მუშაობა ტაძრის შესაკეთებლად.

✦ **დასაფლავება.** გუშინ ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი ამ დღეებში უეცრად გარდაცვალებულს ამიერ-კავკასიის რკინის გზის იურისკონსულტის გ. მ. დანილოვისა.

✦ **გაძარცვა და სროლა.** 25 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე ელისაბედის ქუჩით მიმავალ ელექტრონის ვაგონში № 165 მიდიოდა, სხვათა შორის, სამი შეზარხოშებული კაცი, რომელთანაც ლაპარაკი მოუვიდა ვაგონის კონდუქტორს. ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცა. ვაგონი შეაჩერეს და პოლიციელებიც საქმეში ჩაერივნენ. ორი მგზავრი გაბედაშვილი და გიორგობიანი პოლიციამ დააპატიმრა. ჩხუბის შემდეგ გამოირკვა, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა შემთხვევით ისარგებლა და კონდუქტორს 15 მ. და საბილეთე წიგნაკი ამოაცალა. საეკლესიო ქუჩაზე პოლიციის უბნის ზედამხედველმა შენიშნა, რომ ვიღაცა კაცმა ქუჩის პირზე დააგდო მოტაცებულ ბილეთის წიგნი. უბნის ზედამხედველი გამოედევნა უცნობს და სამჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცილა. უცნობმა თავის მხრივ მდევარ პოლიციელს ესროლა ორჯელ, მაგრამ იმანაც ააცდინა. მერე გაიქცა და დანთუ[?]ოვის სახლში მიიმალა. სახლი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ალექსი კობაძე, რომელსაც ჰბრალდება ამ ქურდობის ჩადენა.

✦ 19 ენკენისთვეს, ქიზიყში ალექსეევკასა და შრომის შუა გიდაც უცნობებს თოფით მოუკლავთ ურმით მიმავალი სოფ. მიხაილოვკას მცხოვრები გლეხი ტატო მინასაშვილი. მკვლელები მიიმალნენ.

✦ ახალციხის მაზრაში ამ დღეებში დაუპატიმრებიათ ცნობილი ავაზაკები ს. კრეთიანცი და ს. თავრიზოვი, რომელთაც შრავალი ქურდობა და მკვლელობა ბრალდებათ.

✦ 25 სექტემბერს ფეოდოსიევის ქუჩაზედ უეცრად წაიქცა 75 წლის მოხუცი ქალი მარიამ ვოლკოვისა და გარდიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხაილოვის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ 24 სექტემბერს დღით 12 საათზედ მეეტლეს სპირიდონ დარახველიძეს რადაც მიზეზის გამო ცხენები გაუგიჟდა. ცხენებმა მეეტლე გაიტაცეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაქანენ გოლოვინის პროსპექტზე. დარახველიძის ეტლი სამხატვრო საზოგადოების ტეატრის პირდაპირ მეორე ეტლს დაეტაკა. დარახველიძე ეტლიდან გადმოვარდა და ხელი იღრძო. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## გადასახლებულნი ასტრახანის გუბერნიაში

(წერილი ქალაქ ენოტაევსკიდან)

ალბად „ერთგულ და მუყაით სამსახურისათვის“ მთავრობამ 9 ივნისს გამოქვეყნებულ კანონით გადმოსახლებულ პოლიტიკურებს „ჯამაგირები“ მოგვიმატა. წინანდელ 2 მან. 70 კაპ. ნაცვლად ეხლა ქალ. ენოტაევსკში (ასტრახანის გუბერნია) გადმოსახლებულთ თვიურად გვეძლევა 7 მ. 70 კ. ეს ფული თუმცა თავის თავად, რასაკვირველია, დიდი არაფერია, მაგრამ „წარსულ დროსთან“ შედარებით ეხლა ჩვენ „კაპიტალისტებად“ უნდა ჩავითვალოთ. სწორედ ეს ჩვენი უეცრად „გაკაპიტალისტება“ იქნებოდა ალბად მიზეზი ადმინისტრაციის განკარგულებისა, რომლის ძალითაც, ესოდენ ფულის ერთბაშად დარიგება არა სასურველად იქნა ცნობილი. უმჯობესად დაინახეს თვეში ორჯერ მოგვცემოდა ნახევარნახევარი, ე. ი. 3 მ. 85 კ. პოლიტიკურებმა ვიცოდით, საც ემარხა ძაღლის თავი, ამიტომ ამ ახალ განკარგულებას წინ გადუდექით. მოვითხოვეთ ძველი წესის დატოვება, ე. ი. რომ თვის პირველში მოეცათ კუთვნილი ფული.

ასეთივე ახალი და მასთან ძლიერ საეჭვო კურსი აირჩია ადმინისტრაციამ თვით ჯამაგირის საკითხშიაც. ივნის-ივლისი ისე გაატარეს, რომ დღეს ხვალიობით გვკვებავდნენ, ჯერ სამინისტროსა და საგუბერნიო მმართველობიდან არა მიგვიღიაო. ბოლოს, როდესაც ესეთი „საკვებიც“ თავის თავად გამოილია, აგვისტოს დამდეგს გვითხრეს: ეხლა-კი მოვიდა მოწერილობა და ყველანი ამ თავიდან მიიღებთ ახალ „ჯამაგირსაო.“ ჩვენ მოვითხოვეთ 9 ივნისიდან (კანონის გამოცხადების დღიდან) დაერიგებინათ ხვედრი ფული. არაო, შევლაპარაკდით. იმათ მიერ შემოძლეულ ფულის მიღებაზედ უარი ვთქვით. გადავსწყვიტეთ თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინისათვის მიგვემართნა. მართლაც დეპეშა შევადგინეთ და არჩეულ პირებს მივანდეთ ფოსტის კანტორაში წარდგენა. ადგილობრივ ფოსტის უფროსს, რომელიც ადმინისტრაციის მარჯვენა ხელს წარმოადგენს, დეპეშის სათაურის წაკითხვაზედ ფერი ეცვალა და იმის მიღება-გადაცემაზედ უარი განაცხადა. დიდი დრო დასჭირდათ მეტეფონტათ მისი უსაფუძვლო შიშიანობას. არ გაუვლია ამის შემდეგ ერთ კვირას, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ „მოგვწვია—„მობრძანდითო.“ ჩვენ გიახლენით და, სიმართლე უნდა ვსთქვათ, კაცმა, ჯამაგირში 9 ივნისიდან პირნათლად გაგვისწორეს.

იმედია, ეხლა ნახევრად მშივრები აღარ ვიქნებით. პურის ფასი მაინც მუდამ გვექნება, და რადგან „არა მარტოოდენ ერთის პურით ცოცხალ არს კაცი“, ამიტომ დრო გამოშვებით ორიოდ გროშსაც გაიმეტებს ადამიანი აქაურ იაფ სანოვაგისთვის. სიაფე-კი აქეთ მართლა საოცარია. ამ გაზაფხულს, მაგალითად ათი ცალი კიტრი ორ კაპეიკად ფასობდა. საზამთროსა და ნესვში, რა ზომისაც უნდა ყოფილიყო, თითო ცალში 2—3 კაპიკს ვიხდით. სხვა ხილს ხომ ფასი არა აქვს. აი ამგვარ იაფ სანოვაგეს ეტანება ხარბად ხალხი, რის გამოც ძლიერ გახშირებულია აქ კუჭის ავადმყოფობა, რომელიც აქნობამდე საშიშს მაგრე რიგად არას გვიქადდა, მაგრამ ეხლა სულ სხვაა, რადგან გვეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი—ხოლერა. ამ წერილის გამოგზავნამდე ორი კაცი გახდა ავად ხოლერით. ერთი იყო ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც მეორე დღესვე გარდაიცვალა. მეორე კი ადგილობრივ ციხის ზედამხედველი, ამანაც 12 საათში თქვენი ჭირი წაიღო.

აღმაშფოთებელი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ორივეჯერ ზემო აღნიშნული ხოლერიანები მოათავსეს საერთო საავადმყოფოში, სადაც იწვა ოც კაცამდე და, მათ შორის, რამდენიმე პოლიტიკური.

საავადმყოფოში ასეთ მაგალითების შემდეგ, ვისაც-კი [illegible] შეეძლო, ჯანჭვითაც ვეღარ დააბეს. დასუსტებულ-დაავადებულებმა აიკრეს გუდანაბადი და ხიფათს თვითონ მოარიდეს თავი..

კარგი კიდევ ზამთარმა გვისწროს, თორემ ხოლერა, ეჭვი არ არის, ბევრს გაასტუმრებდა საიქიოს. **ნიკ. [illegible]**

# პრესსა

ოსურ გაზეთ „ნოგ ცარდ“-ის მე 47 ნომერში დაბეჭდილია საინტერესო წერილი, შესახებ ოსი დარაჯებისა ქართველთა სოფლებში. წერილის ავტორი სწერს:

ყველამ ვიცით, რომ ბევრი ოსი „სტრაჟნიკია“ ქართულ სოფელში მამასახლისად. ამ „სტრაჟნიკ“-მამასახლისების უგვანო საქციელსა და თავ-გასულობას ბოლო არ უჩანს და დასასრული არა აქვს. ამ ვაჟბატონების საძაგლობა ბევრჯერ აღვინიშნავს გაზეთებშიაც, მაგრამ მათს გასწორებას მაინც არა ეშველა-რა. მათი საქციელი იმ ზომამდის მივიდა, რომ აღარც ღმერთისა ეშინიათ, არც კანონისა და აღარც ხალხისა და, ასე გასინჯეთ, თავიანთ უფროსებისაც კი, რომელნიც წინად მათ თითქმის თანაუგრძნობდნენ, ეხლა აღარ მოსწონთ მათი გადაჭარბე-

# ფელეტონი

## ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

(შემდეგი*)

მეორე მოთხრობაში, „სახრჩობელაზედ“. ჭავჭავაძეს გამოყვანილი ჰყავს ავაზაკად გავარდნილი ორი ძმა აზნაური, რომელთაც საცხოვრებელი აღარა გააჩნდათ-რა. ბუნებით გულ-კეთილი ძმები ცხოვრებამ—გაჭირვებამ და უსახსრობამ ყაჩაღობამდე მიიყვანა. მათ გაჰქურდეს კახეთიდან მომავალი მეურმე პეტრე, თუმცა ამ უკანასკნელმა დიდი პატივი სცა მათ.

როცა პეტრე მეორედ ჩამოვიდა ქალაქში, ყური მოჰკრა, რომ ჩამოხრჩობა იქნება და თუმცა არა სჯეროდა, რადგან მას შემდეგ, რაც ძმებმა მოატყუეს, ეგონა, ყველანი მოატყუებდნენ, მაგრამ მაინც წავიდა საყურებლად. როდესაც ერთ-ერთი ძმა ჩამოახრჩვეს და პეტრე უკან ბაკებისაკენ ბრუნდებოდა, შეამჩნია, რომ მას სულ თანა სდევდა ნაბადში გახვეული ყმაწვილი კაცი. ამ უცნობმა დასწერა წერილი, ჩასდო შიგ ფული და სთხოვა პეტრეს, როცა ქალაქიდან გახვალ, წაიკითხეო. აღმოჩნდა, რომ ის კაცი ჩამოხრჩობილის ძმა იყო და პეტრეს უბრუნებდა წართმეულ 3 მან. 50 კაპ. მაგიერ 35 მანეთს, ერთი ათად. ამ წერილში აღსარებაც იყო ყაჩაღისა. მგოსანს მოჰყავს ფსიხოლოგია ცხოვრებისაგან გაბრაზებულ კაცისა.

თუ არსენა, კაკო, ზაქრო სდევნიდნენ მარტო მდიდართა და მებატონეთ, „სახრჩობელაზედ“-ში გამოყვანილი ძმები სჯიან სხვანაირად: ყველანი დამნაშავენი არიან ჩვენს გადაგვარებაშიო; არავინ მოგვეკარა კაცურ-კაცად, ყველა მტრულათ გვიცქეროდა და ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა თუ არ მტრობაო. იგი პეტრეს წერილში პირდაპირა სწერს, რომ საზოგადოებაა დამნაშავეო,

ბოლოს ხომ იგი,—განაგრძობს:—დღეს ჩემის თვალითა ვნახე, რომ ჩემი ერთად ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამოახრჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიტოდი... არ შეგარჩენთ, არა, არ ამაავს... ყველამ უნდა მიზღოს ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. ძმულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი. . . . მე ჩემი გზა მართალის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი—არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სახრჩობელაზედ ჩამწყდა. ამით საუკუნოდ მოვსწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ მაფხზედა დაკიდებული. მშვიდობით... თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სახრჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

ამ სიტყვებით მგოსანი სჯის არა მარტო კანონ-მდებლობას, რომელიც დარჩენილ ძმასაც უარესად აბრაზებს, არამედ მთელ საზოგადოებას, რომელიც ასე გაუგებრად ჰწყვეტს და გულ-გრილად უცქერის ადამიანის პიროვნების შელახვას. აქ, რასაკვირველია, გამოისახა ავტორის ჰუმანიური მიმართულება, მიმართულება, რომელსაც დღეს საპატიო ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის სწავლაში ამგვარ დამნაშავეთა შესახებ. წერილს გავიგრძელებს იმ საბუთების მოყვანა, რომელზედაც ეს მეცნიერება ამყარებს თავის დასკვნას დამნაშავის შესახებ და ჰხსნის მას, როგორც სოციალურ ან ფიზიკურ ავადმყოფობის მიზეზით. სიკვდილით დასჯა ხომ თავის თავად დანაშაულს წარმოადგენს... განა ჩამოხრჩობილის ძმის მიერ აწერილი ფსიხოლოგია ნათლად არ მოწმობს ამას? იმნაირი სასჯელი, როგორიც დღეს არსებობს, უფრო ამწვავებს კაცს.

პოეტი ძმას შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს იმ კაცისადმი, რომელსაც მათთვის სიკეთის მეტი არა გაუკეთებია რა: „განა შენ-კი ამხანაგი არ ხარ ჩემის მამინაცვალისა? განა შენ კი არ დამიხრჩე ერთად ერთი ძმაა? განა შენ კი არ მიიყვანე ის სახრჩობელამდე?“ კანონმდებლობა და საზოგადო წარმოდგენა უფრო აწვავებს ადამიანთა ურთიერთობას. ცხოვრებასთან შერიგებისა და ერთხელ დაცემულს ნაცვლად კანონიც და საზოგადოებაც უფრო მეტადა სთელავენ დაცემულ ადამიანის პიროვნებას და მით სრულიად ჰღუპავს მას, როგორც ადამიანს.

მაგრამ კაცი მარტო სხვასთან შეხლის გამო არ იბრძვის, მარტო დედა შვილობაში არა ყოფილა ორნაირობა და სხვა და სხვაობა დამოკიდებულებისა და გრძნობისა. მგოსანი თავის „განდეგილით“ გვიჩვენებს, რომ რაც უნდა განმარტოებულად იყოს ადამიანი, იმის გულში იბრძვის ორი, ურთ-ერთის მოწინააღმდეგე, გრძნობა, ორი ბუნება ერთსა და იმავე კაცისა. რაც უნდა დაიხაგროს ერთი, ხოლო მეორე ამაღლდეს, დახაგრული მაინც თავისას გაიტანს და ერთხელაც იქნება ხმას ამოიღებს.

დიაღ, ყოველ ადამიანში იბრძვის ორი გრძნობა: ერთი—მისწრაფებაა განყენებულ იდეებისადმი, საზოგადო საკითხებისადმი; მისწრაფება გონებრივ და ზნეობრივ გაფაქიზებამდი; ხოლო მეორე—სურვილია სოფლიურ სიტკბოების გამოცდისა, ცხოვრებით სარგებლობისა. ეს ორი მხარე ადამიანის ბუნებისა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამავე დროს ურთმანეთოდ გაძლებაც არ შეუძლიანთ, რადგან ასეთია ადამიანი. „ხორცი წარწყმიდოს, და სული აცხონოს“ შეუძლებელია, რადგან ეს არ ძალ-უძს ადამიანის ბუნებას. ეს საკითხი ხორცისა და სულის შესახებ ძირითადი საგანია ყველა სარწმუნოებრივ მოძღვრებისა. ქრისტიანობამაც საშუალო საუკუნოებში გადასწყვიტა, რომ მონაზვნობის სახით ხორცი უნდა მომკვდარიყო ცოცხალ ადამიანში და სული ამაღლებულიყო. აქედან განშორება ამ სოფლისაგან, აკრძალვა სქესობრივ ურთიერთობისა და დღე მუდამ ლოცვა. მაგრამ განა მონაზვნობის ისტორიამ არ დაამტკიცა სიყალბე ამ აზრისა! სწორედ ამ თვალით უყურებს ამ საკითხს ჩვენი მგოსანი.

განმარტოებულს მყინვარზედ იმ მონასტერში, სადაც ასვლა მარტო ჯაჭვით თუ შეიძლებოდა, „ოდესღაც

მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს საქაო
დაუთმია და განშორებია;
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა...
. . . . . . . . .
განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა.
. . . . . . . . .
განუდევნია გულიდან ყველა
მსოფლიო ზრახვა-ფიქრთა წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი,
დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცის სულისთვის უწამებია
და ვით ჭურჭელი იგი წმიდაი
ცრემლით ურეცხავს, უსვლებია.
. . . . . . . . .
განყენებული წუთი სოფლისგან

*) [illegible] № 207

ბული სისაძაგლე. მათის ყოფა-ქცევის გამო ძალიან ცუდის თვალით დაუწყო ცქერა ქართველმა ხალხმა ოსებს. ეს ძალიან სამწუხაროა როგორც ჩვენთვის, ოსებისთვის, ისე ქართველ ხალხისათვისაც. შეიძლება ბევრმა ქართველმა თქვას, რომ ოსებს მიუწონდეთ მათი ქცევაო, მაგრამ არა, ეს შემცდარი აზრი იქნება: ამ საძაგლების საქმენი-საგმირონი არც ჩვენთვის არის სასიამოვნო. ან როგორ უნდა ვიყოთ მათი მადლიერი, როდესაც ჩვენც იმავე დღეს გვაყენებენ, რასაც ქართველ ხალხს. ესენი ჩირქსა სცხებენ და სახელს უტეხავენ მთელ ოსობას, თავიანთის ყოვლად მურტალის ქცევით, და ჩვენს მშვიდობის მოყვარე ხალხს, გვამტერებენ მოძმე-მოჭირნახულე მეზობელ ქართველებს. იცოდეთ, ქართველო ხალხო, რომ ჩვენც ათვალ-წუნებული გვყავს ეს ცხოვრების ნაძირალები და წყევა-კრულვით ვიხსენიებთ მუდამ მათ სახელს, ქართველ ხალხის შეწუხებისა და ჩვენ, ოსების სახელის გატეხისათვის, ამას გულწრფელად ვაღიარებთ. მაგრამ ისიც ნუ გავიწყდებათ, რომ ყველგან და ყველა ხალხში არიან ნაძირალები და შემარცხვენელები, და აი, ესენიც სწორედ ოსის ხალხის ნაძირალები არიან.

ამ იუდებსა და განმათავისუფლებელ მოძრაობის მტრებს, როცა ჩვენში, ოსეთშიაც, განმათავისუფლებელ მოძრაობის ხნივმა შემოაშუქა, აღარ ჰქონდათ შესაფერი ბინა, დაიქსაქსნენ აქეთ-იქით და კიდეც მონახეს თავიანთი შესაფერი ადგილები.

ამ ვაჟბატონთაგანის ერთ-ერთის საქციელის მაგალითსაც მოვიყვანთ აქ. ამას წინად შინდისის სოფლის მამასახლისმა ვასილ მამიევმა, იმავე სოფელში მცხოვრებ ერთ მანდილოსანს—ანნა ყიფშიძეს, გაუგზავნა ქართულად დაწერილი ბრძანება,

ავტორს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი სამშობლოდან გათიშულ ოსების მოღვაწეობის ისტორიიდან და განაგრძობს:

აი, ამნაირი მაგალითები ბევრი ვიცით ჩვენ, და ბევრიც ხდება, მაგრამ რა ვქნათ? ძალა ვის ხელშია? ამ უმსგავსოებს დაუდგათ დრო და თვითნებობენ.

რუსული ანდაზა ამბობს: თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევაო. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სამშობლოდან გამოთიშულმა ნაძირალებმა ქართლში იშოვეს თავიანთი შესაფერი ხელობა და ამით ცოტაოდენი მასალა მისცეს თითო-ოროლა შეუგნებელს, რომელთაც ცერად დაუწყეს ოსებს ცქერა. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგივე არ ითქმის მთელ ქართველ ერზე, რომელსაც იმდენი შეგნება მაინც აქვს, რომ ერთი მუჭა ნაძირალების დანაშაულს მთელს ერს არ მოახვევს და ათასი წლობით მეზობლურად და მეგობრულად მცხოვრებ ერთა შორის უსიამოვნებას არ ჩამოაგდებს. თუ დღემდის გვიცხოვრია მეგობრულად, დღეის იქითაც ვიცხოვრებთ და ხელიხელ ჩაკიდულნი ერთად ვივლით ეკლით დაფენილ საერთო გზაზე.

* *

დაიწყო თუ არა პირველ სათათბიროს სხდომა, მეორე დღიდან დღევანდლამდე „ჭეშმარიტი რუსები" და ყველა, ვისაც არ მოსწონდა კონსტიტუციონური წყობილება, ერთსა და იმავე ჰანგს იმეორებენ: სათათბიროს საკანონმდებლო მუშაობა არ შეუძლიან, რუსეთში კანონმდებლობა შეჩერდა და ამიტომ... ძირს კონსტიტუციაო. ეხლანდელ არჩევნებისადმი ხალხის გულგრილობაც კი გამოიყენეს და ხელზე დაიხვიეს: ხალხი საარჩევნოდ არ მიდის, რუსეთის კონსტიტუციის ბედ-იღბალი მისთვის საინტერესო არ არის, ამიტომ გაუმარჯოს თვითმპყრობელობასო. „რეჩს" სწორედ მოსწრებულად მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ბიუროკრატიულ კანონმდებლობისა.

1847 წ. დაადგინეს ახალ სათამასუქო წესდების შემუშავება. დაიწყო პროექტების წერა: ერთი მოამზადეს 1861 წ., მეორე—1866 წ., მესამე—1869 წ., მეოთხე—1884 წ. ახალი წესდება დამტკიცდა მხოლოდ 1903 წ., ე. ი. 56 წლის შემდეგ. 1866 წელს დაიწყეს ახალ სარევიზიო წესდების შედგენა. წესდება ძლივს-ძლივობით შეადგინეს, მაგრამ არ გამოდგა და არ დაამტკიცეს, ამიტომ სახელმწიფო კონტროლს დღესაც ვერ აუღებინებია ხელი ბიუროკრატიისთვის სახაზინო ფულებში ხელების ფათურზე. ახალ სასამართლო წესდების შედგენას ბიუროკრატია შეუდგა 1881 წ. და გაათავა მხოლოდ 1903 წ.. ბრძანება ადმინისტრატიულად გადასახლების ახალ წესდების შედგენის შესახებ გამოვიდა 1885 წელს, მაგრამ მის შედგენას ჯერაც არ შესდგომიან. ამის შემდეგ დამაბუნებული ბიუროკრატები გამოდიან ქვეყანაზე და ჩხავიან: სათათბირომ სამ თვეში მთელი რუსეთის კანონმდებლობა არ გადააბრუნაო, ამიტომ... ძირს კონსტიტუციაო!

# პროვინციის ცხოვრება

**დ. სურამი.** ამ ახლო მომავალში ჩვენსკენ გლეხ-კაცობას შიმშილი მოელის. პური ძალიან ნაკლებად მოვიდა. სიმინდი ხომ ნადად არის გადაქცეული. კოდი სიმინდა 5 მ. 50 კ. ფასობს. კოდი პური კიდევ ახლავე 7 მანეთად იყიდება. რა იქნება შემდეგში, ამას გამოცნობა აღარა სჭირდება. წინად რომ აბაზათ ქათამს იყიდიდით, ეხლა ორ აბაზადაც ვერ იშოვნით. ღვეხლის კიდებაა უცხოთურისა და მალე შიმშილი ჩამოვარდება. ამას ჰგრძნობს მთელი გლეხკაცობა, მაგრამ არ იცის, რა ჰქნას.

ამ გაჭირვებაში მუთიე გლეხობას ზედმეტად დააკისრეს ასი თუმანი. აპრილში მოჰკლეს ილიკო ბლიაძე. ან ბლიაძის მკვლელი მოგვეცით ან არა და ასი თუმანი გადაიხადეთო. აბა, საიდან უნდა გადაიხადონ ეს ამოდენა ფული!

საზოგადოებას ექვსი კაცი ჰყავს არჩეული, რომელთაც დავალებული აქვთ თვალ-ყური ადევნონ სოფლის საჭიროებისათვის ფულის გაწერას და იმის წესიერად მოხმარებას. მათ შემოსავალ-გასავალში ანგარიში უნდა გაუწიონ მამასახლისს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, ახლაც შელახულია კაცის უფლება. ჯერ-ჯერობით ამორჩეულებს ანგარიში არ გაუწევიათ და ვერც გასწევენ, რადგან ნებასაც არ აძლევენ. ამას წინად სოფლის საჭიროებისათვის ოთხი თვის ფული უნდა შეეგროვებინათ; ოთხი თვის მაგიერ რვა თვისა შეაგროვეს. გავიდა ოთხი თვე და ხელ ახლა განიზრახეს ფულის შეგროვება, რაზედაც ამორჩეულებმა პროტესტი განაცხადეს და ანგარიში მოსთხოვეს. ვნახოთ, რაზე გამოდგება დახარჯული ზედმეტი ფული.

აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც სასოფლო ყარაულობა დაწესდა ჩვენში, კომლზე კაცი გაჰყავთ სოფლის საყარაულოდ. მერე ვის ვხედავთ ყარაულში? ვის და რაც ქვეყანაზე ბრმა, კოჭლი და ძალზე მოხუცებულია. არ ვიცი ვის რად უნდა ამნაირი ყარაულობა. სარგებლობა ამნაირ ყარაულობისა არა სჩანს, ზარალი კი დიდია გლეხკაცისთვის; დაღლილი და დაქანცული გლეხკაცი მინდვრიდან სახლისკენ მოეშურება დასასვენებლად და ამ დროს მამასახლისი დაუხვდება და ყარაულში უგზავნის თავს. როდის დაისვენოს საცოდავმა, განა დაუსვენებელი არის რომელიმე შინაური პირუტყვი? და თუ საქმე მოგორმე ჩასთვლიმა და მამასახლისმა თვალი შეასწრო, თქვენი მტერი მაშინ: სილები ხომ ნაღდია და ნაღდი, სამ მანეთიან ჯარიმაც მზადაა. საჭიროა სულ მოისპოს ამნაირი უაზრო ყარაულობა.

ათი დღე იქნება, რაც სოფ. გვერდისუბნელ გლეხ-კაცს ღამე რვა შეიარაღებული კაცი დაეცა, დასჩხრა და ოცი თუმანი წაართვა.

**გ. შხამიანიძე.**

—

**კახეთი.** წლეულ პურის მოსავალი ვერ იყო საკმაოდ კარგი, რადგან თიბათვის გვალვებმა მოსავალი მეტად შეაწუხა. ზოგს გლეხს ამ ორის თვის შემდეგ მოუხდება პურის ყიდვა. საზოგადოდ კი წლევანდელი მოსავალი, გლეხების აზრით, საკმარისია მარტამდის, რომლის შემდეგაც საშუალო გლეხებს მოუხდებათ ყიდვა საზრდო დღეგმისა. სიმინდის და ფეტვის მოსავალიც ვერ იყო კარგი, ნამეტნავად ალაზნის მარჯვნივ. წარმოიდგინეთ, სიმინდის ფასმა დღეს, როდესაც ახალი მოსავალი უკვე დაბინავებულია, არც კი იკლო და ისევ ისე იყიდება, როგორც მარტსა და აპრილში. ღვინის მოსავალი ერთობ კარგია.

მემამულეებმა წრეულ, თუ ძალით არა, ვერსად ვერა აიღეს რა. ათასში ერთგან მოხდა მორიგება. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი მეტად უცნაური საქციელი პარტიულ ბიჭებისა. ყველა სოფელში მოიპოვებიან „ერთად ერთი" პარტიის ბიჭები, რომელთაც „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად". აქაო და პარტიის ხალხნი ვართო, ვინ იცის, რა სისაძაგლეს არა სჩადიან. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ამ პირთ იწყეს პირდაპირ დაუფარავად მემამულეების მხრის დაჭერა და მათ სასარგებლოდ მოქმედება. მაგ. სოფ. გარდისუბანში, როდესაც მემამულეებს გაუჭირდათ დალის აღება, მიჰმართეს პარტიის ბიჭებს, ერთი ორჯელ აქეიფეს, დაჰპირდნენ ცოტაოდენს ხელის ჭუჭყს და საქმეც გაიჩარხა. სამარცხვინოდ, ამ პარტიის ბიჭებმა დაიწყეს მემამულეებთან სიარული და საწყალ გლეხებს დაუწყეს დალის რთმევა. ესეც ახალი მოდაა!

ერთი კარგი ნაცნობი გლეხი შემხვდა, ვკითხე საჟენი შეშის ფასი. მან მიპასუხა: პარტიის ხალხმა გამოგვიცხადა, საჟენი შეშა თხუთმეტ მანეთზედ ნაკლებ არ გაჰყიდოთო". მე შევეკითხე მიზეზს ასეთის შეძვირებისას. მისი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ საჟენ შეშაზედ პარტიის ხალხს გადაუწყვეტია მათთვის ორი მანეთი პირდაპირი გადასახადი. ამ არამკითხე ბატონებისაგან ხალხი მეტად შეწუხდა, მაგრამ პირდაპირ ვერაფერი გაუბედნია.

**—შვილი.**

—

**ხევი** (დუშეთის მაზრა). არა მგონია იყოს სადმე ისეთი ღარიბი და ყოველ მხრით სახსარ გაწყვეტილი ხალხი, როგორიც ჩვენ მხარეშია. აქაურ ცხოვრების წყაროს შეადგენდა საქ. სამ. გზა, რომელიც ეს მეორე წელიწადია უყურადღებოდაა დატოვებული, და ცხვრის მოშენება, რომელსაც ადგილის სივიწროვე ხელს უშლის. ზოგი გუდა ნაბდით გამართული ხან აღმა აწევეტს თავს და ხან დაღმა. აქ რამდენსამე ადგილას მადნეულობაა, მაგრამ აქაც სხვა და სხვა მიზეზისა გამო მუშაობისთვის ხელი არავის მოუკიდნია. აქაურის ხალხის გაჭირვებულის მდგომარეობის დასასურათებლად მოვიყვან ერთ უბედურს შემთხვევას. სოფ. სტეფანწმინდის მცხოვრები ს. ქუშაშვილი, რომელიც მსახურებდა მეეტლედ საქ. სამ. გზის მეორე ნაწილის ზედამხედველ ინჟინერ იორდანოვთან და რომელსაც ცხენმა ფეხი მოსტეხა, წაიყვანეს საავადმყოფოში, მოსჭრეს ფეხი ძირში და შემდეგ შინ მიიყვანეს. იგი მამაა წვრილ ცოლშვილისა. მიჰმართა რამდენჯერმე თხოვნით ვისთანაც დაჰმადა და იმის უფროსებსაც, მაგრამ თხოვნა თხოვნადვე რჩებოდა. ითხოვდა ან შემწეობა აღმოეჩინათ და ან საყარაულო ადგილი სადმე მიეცათ მისთვის, მაგრამ ამაოდ. ასე გაატარა თითქმის ერთი წელიწადი და მისი აუტანელი მდგომარეობა უფრო თანდათან მწვავდებოდა. 14 აგვისტოს, როდესაც შინ არავინ იყო, დაუძახა თურმე თავის პატარა ყმაწვილებს და გადაჰკოცნა. მერე დაითხოვა ბავშვები და ორჯელ ზედიზედ რევოლვერი დაირტყა ერთი მუცელში, მეორე მარცხენა გვერდში. ხმაზე მიცვივდნენ მეზობლები, მაგრამ რევოლვერი ხელში ეჭირა და ახლოს არავის უშვებდა, რომ ან ჭრილობა შეეკრათ და ან სისხლი შეეჩერებინათ. მე იმისთვის დავირტყი, რომ მოვკვდეო. ამ საცოდავმა მწარე ტკივილებში განუტევა სული.

აი, ასეთს „ხაზეინებთან" უხდებათ მუშაობა და სამაგიეროდ ასეთივე სამსახური და ბოლო მოჰყვება ხოლმე.

**მიფანძური.**

—

**ქ. გორი.** საზოგადოდ ქართლში და კერძოდ გორში რეაქცია გაძძვინვარებულია. ქართლი ფეხ-ქვეშ არის გათელილი. აქედან უფრო ბევრია გადასახლებული შორეულ და ცივ ქვეყნებში, ბევრია სამართალში მიცემული. სოფლებში თითქმის ყველგან მამასახლისებად მთავრობის მიერ დაყენებული ოსი ან რუსი სტრაჟნიკები არიან და ამათ თვითნებობას საზღვარი არა აქვს. ამათ, როგორც მოსალოდნელია, მხარს უჭერენ ბოქაულები.

ამას წინად აქეთ შემდეგი ამბავი მოხდა. მეჯვრისხევის ბოქაული გუსაკოვსკი ამ სამი დღის წინად შეზარხოშებული თურმე და მისულა სოფ. ხელთუბანში თედო რაზიკაშვილისას. ეს უკანასკნელი სახლში არა ყოფილა და ბოქაულის ვეირიდზე თედოს ცოლი გამოსულა. გუსაკოვსკის თედოს ცოლ-შვილი გაულანძღავს და უთქვამს, თედო რომ აქ იყოს, ცუდ დღეს დავაყენებდი, მაგრამ მაინც შეგხვდები სადმე და მე გაჩვენებო. თედო რაზიკაშვილი ჩავიდა გორში და მაზრის უფროსს გამოუცხადა ყველაფერი. მაზრის უფროსი დაჰპირებია დაგიბარებ ბოქაულსაო. ვნახოთ, რა გამოვა ამ დაბარებისაგან.

გორში შანტაჟისტები მხნედ მოქმედებენ და ხალხს ბეგრავენ. ამ ბოლო დროს ამ ვაჟბატონებმა დუქნებისა და სახლების გატეხასაც მიჰყვეს ხელი. აი, ამ თვის 21 ს სემინარიის ქუჩაზე გასტეხეს გუზიტაშვილის დუქანი და ექვსი თუმნის საქონელი წაიღეს.

მგზავრებსაც დიდი ხანია შეითვისა სტუმართ მოყვარე გორმა და, წარმოიდგინეთ, ამ ვაჟბატონებმა შტაბიც კი გაიკეთეს ერთ-ერთ რესტორანში. ამ დღეებში ერთმა მგზავრმა ს. კ—შვილმა სადარბაზო რამ ჩაიდინა. მგზავრმა მოუსურვებია ეტლით სეირნობა. სამი საათი უვლია მისა კეფაშვილის ეტლით და ფული კი არ მიუცია. მეეტლეს მოუთხოვნია, მაგრამ მას ფულის მაგიერ ხანჯალი მიუგებებია და მოუკლავს. თითქმის სამი დღე, მკვლელობის შემდეგ, ხსენებული ვაჟბატონი თავისუფლად დაბრძანდებოდა. მხოლოდ ეხლა დაუჭერიათ და იგი უკვე ციხეშია.

გორში ვაჟთა პროგიმნაზია გაიხსნა. საქმე ჯერ კარგად მიდის. ჯერ-ჯერობით სამი მოსამზადებელი განყოფილებაა და ორი კლასი—პირველი და მეორე. ინსპექტორი —ზაალიშვილი მხნე ადამიანია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე შემდეგშიაც კარგად წავა. თითონ გორელებიც არა ჩვეულებრივი ყურადღებით ეკიდებიან ახლად დაარსებულ გიმნაზიას.

ცოტა რამ ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის შესახებაც. დიდი ხანია სულ მოკლე მშობლების ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რამდენიც ახალი მასწავლებელი მოვა, იმდენი ახალი სახელმძღვანელო შემოაქვს. ერთ საგანში ხან რომელ სახელმძღვანელოს ხმარობენ, ხან რომელს. ერთი ვკითხოთ, შესძლებს მშობლები ყოველთვის ახალ-ახალ წიგნის ყიდვას? საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

გაიხსნა თუ არა ვაჟთა პროგიმნაზია—ქალაქის თავმა მიიღო თავი თანამდებობას და მასწავლებლის ადგილზე დადგა. გორი ეხლა უთავოდ არის მალე გორში გაიხსნება მეორე აფთიაქი. ქალაქის თვითმართველობამ უკვე აიღო ნებართვა და თუ თითონ ჯერ შესძლებს მთავრობა... იჯარით... იმ პირობით კი, რომ ღარიბებს წამალი უფასოდ მიეცეთ. თვითმართველობას განზრახვაა სამკითხველო დააარსოს და სოფლის შენობა ააგოს. მართლაც, სირცხვილია გორისათვის, რომ ერთი სამკითხველოც არა აქვს. საჭიროა ქალაქი შეუდგეს ხელმძღვანელობის ადებას, რომ იანვრიდან სამკითხველო უთუოდ გაიხსნას.

**დ. დ—ელი.**

# რუსეთი

✦ **ჭეშმარიტ რუსების დეპუტაცია.** ამ ერთი თვის წინად ჭეშმარიტ რუსთა პარტიის კრების დადგენილებით ხელმწიფესთან უნდა მისულიყო განსაკუთრებული დეპუტაცია. მას დავალებული ჰქონდა ეთხოვა ხელმწიფისთვის, რომ მას ხელმეორედ დაემყარებინა თვითმპყრობელობა, არ გაეფართოვებინა ებრაელთა უფლებანი და სხ. სტოლიპინმა მოახერხა და დეპუტაცია არ მიაღებინა ხელმწიფეს. მიზეზი ის იყო, რომ დეპუტაციაში ერია განთქმული შანტაჟისტი დეზობრი, რომელიც რამდენჯერმე იყო გასამართლებული სხვა და სხვა სიყალბის გამო. ეს მარცხი მაშინ ჭეშმარიტებმა მოინელეს, მაგრამ ეხლა ხელმეორედ აიშალნენ და ისევ თხოულობენ ხელმწიფის ნახვას. საგულისხმო ის არის, რომ დეპუტაციას რაღაც არაჩვეულებრივი საიდუმლო სათხოვარი აქვს, რომელსაც არავის ატყობინებენ. ახალ დეპუტაციაში ითვლება, სხვათა შორის, ცნობილი ხუცესი ივანე კრონშტადელი.

✦ **კადეტების კანდიდატები მოსკოვიდან.** კადეტების პარტიის მოსკოვის კომიტეტს მოუხდენია პლებისციტი სათათბიროში გასაგზავნ კანდიდატებისა. პლებისციტი არ შეეხო მხოლოდ სათათბიროს ნათავმჯდომარალს გოლოვინს, რომელიც ერთხმად იქმნა დასახელებული. ყველაზე მეტი ხმა მიუღიათ ტესლენკოს, მაკლაკოვსა და მანდელშტამს. სამივენი მეორე სათათბიროში დეპუტატები იყვნენ.

✦ **მანდელშტამის გასვლა პარტიიდან.** კადეტების მემარცხენე ფრთის მეთაურს მანდელშტამს განცხადება შეუტანია კადეტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტ. კომიტეტის წევრობას თავს ვანებებო.

✦ **მილიუკოვის ცენზი.** ამას წინათ ვწერდით, რომ პოლიციამ საიდგანღაც გამოჩხრიკა, რომ კადეტთა ბელადის მილიუკოვის ცენზს აკლია 5 დღე და ამიტომ მას საარჩევნო ცენზის წართმევა მოელისო. საგუბერნიო კომისიამ განიხილა ეს ამბავი და მილიუკოვი მართლა ამოშალა სიიდან, მაგრამ მილიუკოვმა მეორე ცენზი წარადგინა: ორი წელიწადია, რაც ის „ობშ. პოლზას" საგამომცემლო ამხანაგობის დირექტორად ითვლება და საამისო გადასახადიც შეტანილი ჰქონია. ამ რიგად, თუ პეტერბურგში ეხლაც კადეტებმა გაიმარჯვეს, მათი ბელადი მოხვდება დეპუტატთა სიაში.

✦ **ულტიმატუმი.** ეკატერინბურგელ სოც.-რევოლ. ჯგუფმა ლატიშებს მიჰბაძეს და დააარსეს „ტყის ძმათა" რაზმი. პარტიის საოლქო კრებამ განიხილა მათი მოქმედება და შეუთვალა: ან პარტიის დისციპლინასა და დადგენილებას დაემორჩილეთ, ან პარტიიდან გადით. პასუხი ჯერ არ მოსულა.

✦ **ბოიკოტი.** პოლტავის გუბერნიის დიკანსკის სამამასახლისოს გლეხებს შეგნებულად ერთხმად ბოიკოტი გამოუცხადებიათ სათათბიროს არჩევნებისთვის. სამჯერ მოუწვევიათ საარჩევნო კრება, მაგრამ არავინ მისულა. პირველად თითო სული დააჯარიმეს ათ-ათი შაურით, მეორედ—თითო მანეთით, მაგრამ გლეხები არც მეორედ და მესამედ მისულან.

✦ **პროტესტი.** პეტერბურგის უნივერსიტეტის ცენტრალურ ორგანოდან გამოსულა 7 სოც.-რევოლუციონერი, რომელთაც პროტესტი განუცხადებიათ და უთქვამთ: რადგან არსებულ პირობებში არავითარი მუშაობა არ შეიძლება, ამიტომ ჩვენ მოვალეობის ასრულებას თავს ვანებებთო.

✦ **სარწმუნოების გამოცვლა.** მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოცხადდა უფლება სარწმუნოების გამოცვლისა, პროტესტანტთა ეკლესიას შემატებია 40 ათასი ყოფილი მართლმადიდებელი. კათოლიკეთა ეკლესიას ამაზე გაცილებით...

აქ სული მისი ადყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა..
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი,
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა".

ჩვენ ვარჩიეთ მგოსნისავე სიტყვებით დაგვეხატა ის, თუ როგორ დაჰგმო მწირმა ხორცი და აღამაღლა სული, მაგრამ ამ ამაღლებულს სულს თითქოს განგებ განსაცდელი მოევლინა, რომლის დროსაც უნდა დამტკიცებულიყო მისი სიძლიერე. ერთხელ, როდესაც ცა გრგვინავდა და დედამიწას წარღვნას უქადდა, მწირს მოულოდნელად სტუმარი ეწვია. მწირმა არ იცოდა, ღმერთის მიერ ეს კაცი საკეთილოდ იყო გამოგზავნილი თუ საცდელად. იგი ორივე მოსალოდნელ შედეგს დაემორჩილა. შეიყვანა სენაკში და გულში სთქვა: „მე კაცისაა და არა მავნე, ბოროტი სული". მაგრამ როცა სტუმარმა ლაპარაკი დაიწყო და ქალის ხმა გაისმა, მწირი „შეკრთა, შეშინდა ამ ხმისაგან". მწირი უფრო აფშოთდა მაშინ, როდესაც ცეცხლი აანთო და შუქზე:

„ასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალ-წინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნობით,
ნაზად ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის მგელი ყელმოღერებით,
თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორც-სხმულადვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.

მწირმა ჯერ ვერ გაუძლო ამ თვალწარმტაც სანახაობას, თვალი დააშტერა და დაიწყო ქალთან საუბარი. ის გამოჰკითხა, თუ როგორ მოხვდა ის ამ არემარეს... ლაპარაკის დროს, ქალი ჰკითხავს:

განა ქვეყნად შენ არავინ გყავს
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?
— მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევსწირე თავი.
. . . . . . . . . . . .
მოვშორდი, შვილო, წუთისოფელსა.

მაგრამ ქალს არა სჯერა, რომ ეს შესაძლებელი იყოს, ან რისთვის? იგი გაოცებული ჰკითხავს მწირს:

— როგორ თუ ღმერთისა? ღმერთს რაამ ყინულებში ყოფნა კაცისა? ...ში უნდა
და კიდევ!
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მოეთო
ესე ლამაზად წუთი-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოეთხოვო
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!.
ღმერთო ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას,
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს.
ან შენ როგორ სძლებ უწუთი-სოფლოდ,
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია?
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
. . . . . . . . . . . .
ნუ თუ თვის თვის ტოლი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდან ამოგიღია?
ნუ თუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავის წამოგიღია.

(შემდეგი იქნება)

ბელ ეკკლესიას—ერთი მუჰა. ასე იცის ნაძალადევმა რწმენამ.

✦ **რასაც დასთეს, იმას მომკით.** მთავრობამ იმოდენა უსვა თავზე ხელი ჭეშმარიტ რუსებს, რომ მათს კადნიერებასა და თავხედობას ეხლა თვითონვე ებრძვის. ბევრი იყო ამისთანა მაგალითი, მაგრამ მეტად საინტერესოა პურიშკევიჩისა და მოსკოვის გუბერნატორის ამბავი. პურიშკევიჩმა მოსკოვის გუბერნატორს წერილი მისწერა, რატომ არ დაამტკიცეთ კოლომენსკის სამოსწავლო საბჭოს წევრად ჭეშმარიტი რუსი სკორნიაკიო. გუბერნატორმა მიუგო, რა თქვენი საქმეაო. პურიშკევიჩმა ამაზე ლანძღვა-გინების წერილი მისწერა და ხელმეორედ მოსთხოვა პასუხი. გაჯავრებულმა გუბერნატორმა პურიშკევიჩზე საჩივარი შეიტანა შეურაცხყოფისთვის. ამიზე ითქმის: რასაც დასთეს, იმას მოიმკით.

✦ **პლეხანოვის გაკიცხვა.** სოც.-დემოკრ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია, სადაც სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბელადი პლეხანოვი გაკიცხულია იმის გამო, რომ მან გაბედა და არ მოიწონა ცენტრალურ კომიტეტის დადგენილება.

✦ **ანარქისტების საქმე.** ამ დღეებში პეტერბურგის სასამართლო გაარჩევს ანარქისტ-ექსპროპრიატორების საქმეს. სამართალში მიცემულია ოცზე მეტი ანარქისტი, რომელთაც ჰბრალდებათ მრავალი ექსპროპრიაცია და სხ. ბრალდებულთ იცავენ კედრინი, მარგულიესი, ჭაბერაშვილი, გელოვანი, ტატარინოვი და სხ.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

25 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარი, რომელიც ეხება საგუბერნიო საარჩევნო კრების თავმჯდომარის უფლებას, მათ თავმჯდომარეობას და აგრეთვე სხვა კითხვებს სათათბირო არჩევნების შესახებ.

**ეკატერინოსლავი.** ვერხნე-დნეპროვსკის მაზრაში ერთი ხოლერით ავადმყოფი.

26 სექტემბერი.

**სარატოვი.** 24 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2. გუბერნიის მაზრაში ავად გახდა 1.

**ოდესა.** ქალაქში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 7. მაზრაში ავად გახდა 1.

**ცარიცინი.** ნოვონიკოლაევსკაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2.

**ეკატერინოსლავი.** ტაგანროგის მაზრაში დაიღუპა ერთი ხოლერით ავადმყოფი.

**ირკუცკი.** ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2.

**კიევი.** ბრედსლავრის ქუჩაზე თავის სახლში მოჰკლეს ცოლქმარი ტარასევიჩები.

**ლოძი.** ესტრემბროვსკის სახლში მივიდა მძარცველი. თუმცა შეიპყრეს, მაგრამ თავი გაინთავისუფლა და ესტრემბოვსკი დასჭრა.

**ლუგოვი.** სოფ. პოლიაჩკოვოში ცეცხლმა გაანადგურა 40 სახლი. დაიღუპა 5 კაცი და ბევრი შინაური საქონელი.

**მოსკოვი.** მონარხისტების პარტიის თავმჯდომარე გრინგმუტი ძლიერ ავად გახდა.

**ლოძი.** პაბიანიცაში ბოჩნის ქუჩაზე ერთმა ყმაწვილმა ნაგავში ყუმბარა იპოვნა და უცაბედად ხელიდან გაუვარდა და აფეთქდა. ყმაწვილს მოგლიჯა ხელი და ფეხი. მძიმედ დაიჭრა 2 მუშა, მსუბუქად —ორი ეზოში მოთამაშე ბავშვი.

**ნიჟნინოვგოროდი** 24 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 4; გუბერნიაში ავად გახდა 417, გარდაიცვალა 195.

**ვიბორგი.** ქალაქში ავად გახდა 1.

**პენზა.** ნაროვჩატის მაზრაში სოფ. ბანუაში, ხელახლად ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 6 ხოლერით ავადმყოფი.

**რიგა.** 25 სექტემბერს საღამოს 9 საათზე ბოროტ-გამზრახველთა ბრბო თავს დაესხა იურიევიდან ვალკაში მიმავალ მატარებელს სადგურ ელვასა და ბოკენგოფს შუა. ბოროტ-გამზრახველთ მეარტელეს გაცარცვა სურდათ და ბოლო ვაგონს, სადაც მეარტელე იყო, სროლა აუტეხეს. მატარებელი არ გაჩერებულა. შეშინებულმა მგზავრებმა მიმავალ მატარებლიდან გადმოხტომა დაიწყეს. ზოგი მათგანი, როგორც ამბობენ, დაშავებულა. მძარცველებმა ვერაფერი წაიღეს, მატარებლიდან გადახტნენ და მიიმალნენ.

19 თებერვლის ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი.

**პეტერბურგი.** ჩამოახრჩვეს სამხედრო სასამართლოს განაჩენით: სამუილოვი, ლიპკუ, სიშკინი, კონდრაშოვი, ევსტაფიევი და კასიუბო ნარვის ფაბრიკის დირექტორის მოკვლისათვის, ხოლო ივანოვად თავისს თავის მაღიარებელი—აკტუევის საპატიმროს უფროსის მოკვლისათვის.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი**

**პეტერბურგი** 25 სექტემბერისთვის მუშებს მიემატა 3 ამომრჩეველი; ამათგან 2 ს. დ., 1 სოციალისტი. საქალაქო ამომრჩევლებს მიემატა 142; ამათგან 6 რუსთა კავშირის წევრი, 2 განაპირა ქვეყნების კავშირისა, 6 ოქტომბრისტი, 43 კადეტი, 2 ს.-დემოკრატი, 1 სიონისტი, 2 პოლონეთის რეალურ პოლიტიკის პარტიისა, 15 «ნაროდოველი", 3 ბალტიის კონსტიტუციის პარტიისა, 1 მონარქისტი, 1 უკიდურესი მემარჯვენე, 15 მემარჯვენე, 3 ბესარაბიის პარტიისა, 3 ზომიერი, 2 ზომიერი კონსტიტუციონალისტი, 1 კონსერვატორი, 14 უპარტიო, 5 მემარცხენე, 6 პროგრესისტი, 4 ზომიერი პროგრესისტი, 2 უცნობი.

**პეტერბურგი.** 25 სექტემბერს გლეხთა ამომრჩევლებს მიემატა 197 კაცი; ამათგან 1 რუსთა კავშირის წევრი, 1 კადეტების თანამოაზრე, 1 კადეტებზე უფრო მემარცხენე, 2 შრომის ჯგუფისა, 13 „ნაროდოველი", 7 მონარქისტი, 65 მემარჯვენე, 3 ზომიერი, 19 მემარცხენე, 7 უკიდურესი მემარცხენე, 8 პროგრესისტი, 59 უპარტიო, 9 უცნობი.

მემამულეთა ამომრჩევლებს მიემატა 171; ამათგან 1 რუსთა კავშირის წევრი, 2 ოქტომბრისტი, 1 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 3 კადეტი, 2 კონსტიტუციონალ კათოლიკეთა პარტიისა, 18 ნაციონალისტი, 7 «ნაროდოველი", 26 ბალტიის კონ. მონარქ. პარტიისა, 72 მემარჯვენე, 14 უპარტიო, 3 უცნობი.

გლეხთა რწმუნებულებს მიემატა 35; ამათგან 5 მონარქისტი, 8 მემარჯვენე. 17 ზომიერი, 2 მემარცხენე, 2 უცნობი.

წვრილ მემამულეთა რწმუნებულებს მიემატა 50; ამათგან 5 ოქტომბრისტია, 30 მემარჯვენე, 2 ზომიერი, 1 უპარტიო, 1 მემარცხენე, 11 უცნობი.

მუშების რწმუნებულთ მიემატა 102: ამათგან 1 კადეტი, 15 ს.-დემოკრატი, 1 ს.-რევოლიუციონერი, 7 ზომიერი, 30 უპარტიო, 9 მემარცხენე, 39 უცნობი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

25 სექტემბერი.

**ვენა.** ამას წინად საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი ვენაში წავიდა და იქაური მთავრობა ინახულა. ამის შესახებ „პოლ. კორ" სწერს: „ავსტრიისა და რუსეთის შეთანხმება ბალკანეთის საკითხის თაობაზე იზვოლსკისა და ბარონ ერენტალის შეხვედრის მეოხებით უფრო განმტკიცდა და ახალი მიმართულება მიიღო. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ შეთანხმების მესამე მუხლის ახსნა მაკედონიაში მცხოვრებ ერებს სარგებლობას მოუტანს, იქონიებს მათში სასურველ მოქმედებას და არ აღუძრავს მათ სურვილს ტერრორის საშუალებით მოიწადინონ თავიანთ ნაციონალურ საქმეთა გაუმჯობესობა. სასამართლოს რეფორმის საქმეში მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი ამ რეფორმას ჩასთვლის ბუნებრივად და საზოგადო რეფორმათა აუცილებელ გაგრძელებად. ამ საქმეში ყოველი ზომა იქმნა მიღებული, რომ სულთანის უპირატესობა არ დამცირებულიყო".

**პარიჟი.** ნაფიც-მსაჯულები შეუდგნენ რუსის ქვეშევრდომის ანარქისტის ლავას საქმის გარჩევას. ლავამ 13 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე ჯარის კაცს რევოლვერი ესროლა.

**ვენეცია.** 24 სექტემბერს სად. პიერ დარენში ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. 14 ვაგონი გადმობრუნდა, დაიჭრა ხუთი.

**ლონდონი.** ლონდონში მყოფ კორეის მუნიციპალიტეტის წევრების საპატივცემლოდ ჰილდგოლში ბანკეტი გაიმართა. საფრანგეთის ელჩმა სიტყვა წარმოსთქვა სადაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება საუკეთესო გარანტიაა საყოველთაო მშვიდობიანობისათვისაო.

**ჰააგა.** პირველ კომისიის სხდომაზე გაარჩიეს სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს პროექტი. მარტენსმა განაცხადა, რომ რუსეთი პროექტს მხარს დაუჭერს მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველანი ერთხმად მიიღებენო. როცა კენჭი უყარეს, 9 სახელმწიფო პროექტის მომხრე გამოვიდა, სამმა ეხარი არ დაუჭირა, რუსეთმა შენიშვნები გაუკეთა და ამ რიგად შეთანხმება არ მოხერხდა.

26 სექტემბერი

**ხრამშოლი.** სპარსეთის ელჩი აცხადებს, რომ ოსმალების მიერ სპარსეთის სამი ოლქის და ქალაქის დაჭერის ამბავი არ მიმიღიაო.

**თავრიზი.** შაჰის მიერ ძირითად კანონების ბოძებამ ხალხი გაახარა. ბაზრები გაჩირაღდნებულია.

**თეირანი.** მეჯლისმა გაათავა ძირითად კანონების შესახებ სჯა-ბაასი. კანონები ხმის უმეტესობით მიიღეს.

**ფრიდრიხსჰაფენი.** გრაფმა ცეპცინმა ჰაეროსტატით ფრენა განაახლა. გონდოლაში იჯდა 8 კაცი, ჰაეროსტატი ძლიერი ქარის წინააღმდეგ თავისუფლად დაჰქროდა. ქალაქი გადაიარა. ზარბაზნები დასცალეს. ხალხმა გრაფს ოვაცია გაუმართა, მაყურებელთა შორის იყვნენ ვიუტემბერგის მეფე, გერმანიის კრონ-პრინცი და ჰერცოგი ლეოპოლდ სალვატორი.

**ნორფოლკი.** ამერიკის ჯავშნოსანი „კენტუკი» ლამბერკის (ვირგიანიაშია) კლდეს დაეჯახა. ცდილობენ მის გადარჩენას.

**ზიტცენი.** (საქსონიაშია) სადგურზე ყუმბარა აფეთქდა, რომელიც ერთმა მგზავრმა იპოვნა პირველი კლასის კუპეს ტახტქვეშ. მგზავრს ხელი მოაგლიჯა და კონდუქტორი მსუბუქად დასჭრა. გამოძიება სწარმოებს.

**გიბრალტარი.** მულაი გაფიდის 2 მიკრიკი ინგლისში გაემგზავრა. თან მიყავთ თარჯიმანი. სცდილობენ ინგლისის მეფის ნახვა მოახერხონ, მიმართონ აგრეთვე გერმანიისა და იტალიის ელჩებს, რომ მულაი გაფიდი ცნობილ იქმნას მაროკოს სულთანად.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ავალიშვილი.**


# განცხადებანი

# ვაქირავებთ

**მესამე სართულში ოთახებს**

ერთი ოთახიდან ოცდა ერთ ოთახამდის, სომეხთა ქუჩაზე ჯუმხაძის მემკვიდრის სახლში № 1.

სხვა და სხვა ფასებშია, ძალიან ხელ მისაწდომი, დაწყებული 6. მანეთიდან 20 მანეთამდე თავის ავეჯეულობით ვისაც სურს, ხოლო ვისაც არა სურს—უავეჯოთ. იქვე მოწყობილია სასადილო. მსურველს შეუძლიან დადგეს დროვებით ესე იგი ერთისა, ორისა, ან მეტის დღით.

პატივის ცემით **არჩილ ანდრიას ძე ბლიაძე** და **სამსონ ესტატეს ძე ნიჟაძე.**
(5—332—3)

# იძლევა ქირით

ექვსი ოთახი თავის ვანნით და ყოველის მოწყობილობით, კუკიაში, ლისაგორსკის ქუჩ. სახლი **ნატროევისა.** (3—336—2)

პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

**დაარსებულია 1880 წ.**

**(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).**

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. და ვენერიული (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გეგეჩკორი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. ი. მჩედლიძე:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—150)

# ერთი წელიწადია

სახლიდან წავიდა 17 წლის ბიჭი ვლადიმერ ვაშაკიძე და აქამდე მშობლებმა არა იციან რა მისი. სთხოვენ ვლადიმერ ვაშაკიძის მნახველებს შეატყობინონ რაც იციან დიდ-ჯიხაიშის მამასახლისს (ფოსტის ადრესი—სამტრედია, დიდი ჯიხაიშის მამასახლისს)
(3—3)

**გამოვიდა და ისყიდება**

სკოლებში სახმარებელი ერთხმიანი

ქართული საეკკლესიო

# გალობა

(მწუხრით)

ნოტებზედ გადაღებული მღ **ფილიმონ კარბელაშვილის**-მიერ ფასი 15 კ.

უმთავრესი საწყობი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.
(5—327—5)

**მეჩექმეთა ამხანაგობა**

# „ნ დ ო ბ ა"

დროებით შეწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესო მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოეწყობა ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზავხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ბოლებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბულდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

**გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი.**
(20—6—11)

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება გახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლებათა ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

✦✦ ✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦ ✦✦




# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

# უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას",

**რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბუჩეს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

# ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—66)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.